

საპროლეტარო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 თებერვალი, შაბათი, 1988 წ.

№ 81 (9692) ჯანს 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან




დღეს  
კალგარიში,  
თბილისის დროით  
24 საათზე  
„პაქაპაონის“ სტადიონზე  
აპიზოვიზაჰა  
ზამთრის XV ოლიმპიური  
თამაშების ჩირაღდანი



სპორტსმენებს ქანადის მთავრობის სახელით  
მიხსალმება ქვეყნის პრემიერ-მინისტრი  
გარბინ მალაშენი, რასაც მოჰყვება  
ოლიმპიადის მონაწილე 58 ქვეყნის  
დელეგაციის საუბრობა სველა.  
ამ დღეს გაიმართება მსოფლიო კოპეისტა  
ტურნირის სამი წინასწარი შეხვედრა,  
ითამაშებენ „ბ“ კვატეტის გუნდები:

ჩხოსლოვაკია — გვრ, ნორვეგია — სსრ  
კავშირი და ავსტრია — ავსტ.  
როგორც ვიუჟნაგოდით, შეჯიგრაპის  
საუბრობა გახსნას ჩვენი ტელემაჟორაგლეზი  
ნახავენ ცენტრალური ტელევიზიის პიკაველი  
პროგრამით 28 საათსა და 55 წუთიდან  
თბილისის დროით.

### გიშვავთ ზაიშვა



დღეს, 18 თებერვალს, 19 საათზე, თბილისის სპორტის სახახლეში გაიმართება დიდი სპორტულ-თეატრალიზებული ხანახაობა, რომელზედაც საზეიმოდ შეკამდება 1987 წლის სპორტული ხეზონის შედეგები. დღესვე დილით, 11 საათზე კი დიდის ტყე-პარკში საზეიმოდ გაიხსნება სპორტული დიდების ხეივანი.

კალგარი. აქ თუ ოდნე მინც არ დათბა, ოლიმპიური პროგრამა ნაწილობრივ შეიძლება შეიცვალოს კიდევ. ყოველ შემთხვევაში, 25-გრადაუსიან ყინვაში ბობსლეისტთა შეჯიბრება ალბათ გადაიდება. ოლიმპიური ტრასის ხელმძღვანელად ორგანიზატორებმა მიიწვიეს ცნობილი სპეციალისტი ვადრ-დან კარლ-ჰაინც ანშუტცი. აი, რა განუცხადა მან კორესპონდენტებს. — როცა 10 დღის წინ კალგარიში ჩამოვედი, პერის ტემპერატურის მერყეობის გამო ტრასა ცუდ მდგომარეობაში იყო. ახლა ყველაფერი თითქმის რიგზეა. მაგრამ თუ ყინვა გაგრძელდა, მაშინ დილის პროგრამის შუალდისთვის გადატანა მოგვიხდება. ბობსლეისტთა შეჯიბრებას აქ მოუთმენლად ელიან. სპეციალისტები ფავორიტებად ვადრ-ის, შევიცარიისა და სსრ კავშირის სპორტსმენებს ასახელებენ. მაგრამ ამერიკელებს მიანიათ, რომ მანსები მათაც აქვთ. ისინი დიდ იმედებს ამყარებენ ციგებზე, რომელიც „ეირფლთუ საიენსის“ კორპორაციამ დაამზადა აეროდინამიკული თვისებების გათვალისწინებით.

კალგარიში დიდი პოპულარობით სარგებლობს ფინელი მსტრ-მელი მარტი ნიუკინენი. იგი დარწმუნებულია, რომ ორივე ოლიმპიური მედალს მოიგებს — 70 და 90 მეტრიან ტრამპლინებზე. — თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ფიზიკურად. ერთადერთი რაც მაფიქრებს, ამინდია. ამ მიზეზით შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაიყაროს. ელენის მთაზე წვრთნას სამთომთიხილმურებები განაგრძობენ. სწრაფდაშვების ტრასაზე, როგორც მსოფლიო დედაიყო, ყველაზე კარგი შედეგი შეეცარიელმა პირმინ კურბრიგერმა აჩვენა. მას მცირედით ჩამორჩა მეორე შევიცარიელი დანიელ მარერი. ...ოლიმპიურმა სოფელმა ამ დღეებში ახალი ბინადრები მიიღო, ესენი საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, იაპონიისა და ნორვეგიის დელეგაციათა წარმომადგენლები იყვნენ. ახლამოსულნი კალგარის მცხოვრებლებმა გულგულად შეხვედრად მოუწყვეს. სტუმრებს მიესალმა სოფლის მერი ბობ ნიუენი. მან ოლიმპიელებს მაღალი სპორტული შედეგები, კარგი თოვლი და ყინუ-

ლი უსურვა. გუშინწინ კალგარიში ამინდის სრული და გაუგებარი მეტეოროლოგია მოხდა. დილით ქალაქში გამოსულნი უთოვლო, მშრალი და გაკრიკებული ქუჩები დახვდნენ. თეთრი სამოსი ბაღებსა და სკვერებში აქა-იქ პატარა კუნძულებით იყო შემორჩენილი. პერის ტემპერატურამ პულს 9 გრადუსს მიაღწია. სინოპტიკოსები ასეთ მიულოდნელ ცვლილებას თბილქარს „ჩინუსს“ მიაწერენ, რომელსაც სულ რამდენიმე საათში ზამთარი გაზაფხულად შეუძლია აქციოს. ორგანიზატორები კვლავ საგონებელში ჩაყარდნენ. განსაკუთრებით შეუუხებელი არიან ორქიდელები, რომლებსაც თოვლი ახლა მინც, შეჯიბრების დაწყების წინ „პაერივით სჭირდებათ“, მაგრამ ოპტიმიზმს არაფერს კარგავს. ამინდის პროგნოზი შაბათს და კვირას ოლიმპიელებს თოვლს პირდება. როგორც ჩანს, კალგარის ქირვეული ზამთარი ორგანიზატორებს ბევრ პრობლემას შეუქმნის, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ბოლოს და ბოლოს ამინდი „დადგეს“.

### ფინალი უნდა გენახათ!



სამტარი ვუწოდებთ ლეგეში გამართულ საკავშირო პირველობაზე თბილისელი მსროლელის ნ. სალუქვიძის მიერ ნაჩვენებ შედეგს (3-2 ვარჯიშში), რომელიც მსოფლიო რეკორდს სჭარბობდა, ეს ასე იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთავარი სიურპრიზი თურმე წინ გვქონდა: ნინომ ფინალში 10 გასროლიდან 103,4 ქულა მოაგროვა. როგორც ხედავთ, ეს შედეგი აბსოლუტურ მიღწევასაც სჭარბობს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ზუსტად ათაინის ცენტრში მოხვედრებისათვის სპორტსმენს დამატებით ქულების მეთაურობა ემატება. ალბათ მიხვდებით, როგორი ზუსტი უნდა ყოფილიყო სალუქვიძის სროლა, რომ ამ „პრემიალურმა“ მეთაურობამ საბოლოო გაშში 3,4 ქულა შეადგინა.

ქართველმა ქალიშვილმა კი მიღწევების ნუსხაში მეორე რეკორდი ჩაიწერა, თანაც რა რეკორდი — 498,4 ქულა 50 გასროლიდან! გარდა ამისა, ნინომ კიდევ სამი პირველი ადგილი დიკავა თანაგუნდელებთან — არმიელ მსროლელებთან ერთად 33-2, 33-10 და 33-5 ვარჯიშებში.

### ქალგარიში მსოფლიო პირველობისთვის პრეპარატივად ქალთა ტურნირი

### საუკეთესო პარტიები — ფინიშვა

სულ რამდენიმე დღეც და წყალტუბოს საკონცერტო დარბაზ „იერიამი“ დამთავრდება მსოფლიო პირველობის პრეტენდენტ ქალთა ტურნირის „სირითადი დრო“. საქმე ისაა, რომ თუ ორი ან რამდენიმე მოჭადრაკე გაიყოფს I ადგილს, დაინიშნება დამატებითი მატჩი ან მატჩ-ტურნირი. ბუნებრივია, ასეთ პერიოდში ბრძოლა სახუცყარი I ადგილისთვის (როგორც იცით, შემოდგომაზე ამ ტურნირში გამარჯვებული შეხვდება მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძეს) უადრესად მძაფრდება ხოლმე. გამონაკლისი არც წყალტუბოში მიმდინარე შეჯიბრებაა. უკვე

გამოკვეთა ის ძირითადი სამეული, რომლის წვერებსაც „სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა“ აქვთ ერთმანეთში გაჩაღებული. ესენი არიან ლეოველი მარტა ლიტინსკაია, თბილისელები ნანა იოსელიანი და ელენა ახმილოვსკაია. მოდი, საანგარიშო X და XI ტურების ანალიზიც მათი პარტიებით დავიწყეთ. X ტურში მხოლოდ ორი პარტია გათამაშდა. ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიძის ავადმყოფობის გამო მათი შეხვედრები ქეთევან არახამიასთან და მარტა ლიტინსკაიასთან გადაიდო. დანარ-


ჩენ ორ შეხვედრას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ელენა ახმილოვსკაიამ და ირინა ლევიტინამ ახალინდური დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი გაითამაშეს. მთელი პარტიის განმავლობაში მცირე პოზიციური უპირატესობა თბილისელ დიდოსტატს ჰქონდა. როცა პარტია ენდშილში გადავიდა, ახმილოვსკაიამ შესანიშნავად გამოიყენა კიდურა გამსვლელი პაიკის ძალა და მეტად ეფექტური გამარჯვება მოიპოვა. თამამად შეიძლება ითქვას,

06. 33-4 33.



თბილისში, ვაკის საცურაო აუზში დამთავრდა მოცურავეთა ზამთრის რესპუბლიკური ჩემპიონატი. სურათზე თქვენ ხედავთ 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში გამარჯვებულ თბილისელ ზურაბ გვლიგავაშვილს. (წერილს ამ შეჯიბრების შესახებ შემოგთავაზებთ „ლელოს“ უახლოეს ნომერში).

### პროფკავშირები: ფიზკულტურა და სპორტი



ჩვენს საწარმოებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, უკვე განკარგულად იყენებენ სპორტულ და ფიზკულტურულ საშუალებებს. მინი სპორტული საშუალებების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ბევრგან კარგად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს, თუმცა, ისევ რჩება დღის წესრიგში მუშაობის გააქტიურება და პასუხისმგებლობის ამაღლება, რაზედაც ამ დღეებშიც წერდა ჩვენი გაზეთი. გუშინ ვაკცინობეს, რომ კრიტიკა გათვალისწინებულია, უკვე დღეს და ხვალ თბილისში (დამიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტულ ბაზაზე). ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, რუსთავში, სხვა ქალაქებში და რაიონებში ჩატარდება მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. დარგობრივი პროფკავშირების შეჯიბრებებში მონაწილეობის მიხაღებად ბაკურიაშვილმა გაემგზავრენ საწარმოო გაერთიანება „მიონისა“ და სპორტკლუბ „უშბას“ წარმომადგენლები. მუარადლებას 18 თებერვლიდან იწყება საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი სროლის კვირეული — არც ერთი ფიზკულტურული კოლექტივი ამ ღონისძიებაში მონაწილეობის გარეშე!

# საით გასუქრავს „დელფინი“?

შინაშე ახალი ფიკალტურულ-გამაჯანსაღებელი კომპარატივი, რომელიც სხვაგვარად უფროს დახმარების ხელს

**სათაურში** დასმული კითხვის პასუხი ცნობილია: საჭიროა „დელფინი“ მისამართი აუწყოთ, მოწყვეთ გავსაზრდოთ და ისიც არ დაყოვნებთ — დაგეხმარებათ.

აბა, გაიხსენეთ, რამდენჯერ გავიგონიათ და წავიკითხავთ იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარა დელფინი ზღვის უკიდურეს სიღრმეში ელვად დარჩენილ ადამიანს.

ოღონდ, ის „ჩვენი დელფინი“, სათაურში რომ ვახსენებ, „ცოტა“ განსხვავებულ დახმარებას გვთავაზობს — ცურვას გვესწავლის, რათა ხიფათში ჩავარდნილი სხვათა საშველი არ ვაგვხდეთ. ამასთან, იგი თავის სამსახურს სთავაზობს მწყობრიდან გამოსულ საცურაო აუზებს, რომლებიც დახმარებას აღარსიდან ელიან და მხოლოდ „დელფინის“ იმედიდან არიან.

საუბრია ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელ კომპარატივ „დელფინი“ რომელიც თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონში, მე-40, 176-ე, 178-ე და 179-ე საშუალო სკოლების საცურაო აუზების ბაზაზე შეიქმნა.

— მომხმარებელს მრავალმხრივ სამსახურს ვთავაზობთ, — გვეუბნება კომპარატივის თავმჯდომარე ვლადიმერ გამბარინი, წარსულში რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო მოტორიკო. — ჩვენმა კომპარატივმა ის აუზები, რომელთა ბაზაზეც ჩამოყალიბდა, ჯერ გარემონტა და მერე პირველი სტუმრებიც მიიღო. ამისთვის დიდი მუშაობა დაგვიწია. აუზები ახალი აშენებული იყო, მაგრამ ზოგი წყალს უშვებდა, არასწორად იყო დამონტაჟებული ფილტრები, კედლები

დან ფილტვი აყრილიყო, არც საშხაბები მუშაობდა, არც გათბობის სისტემა. ჩვენ ეს ყველაფერი მოვაწესრიგეთ. ახლა იმ ოთხი აუზიდან მხოლოდ 176-ე სკოლის აუზი არ მუშაობს, რადგან, ჩვენგან დამოუკიდებელი მსხვერპლის გამო, თბილი წყლის მიწოდება შეწყდა. საქმის მოსაგვარებლად ზომები მიღებულია და იმედია, ეს პრობლემაც გადაიჭრება.

იმ ოთხი აუზის ბედი ტიპობრივია მთელი ქალაქისთვის. შენდება სკოლები, რომლებსაც საცურაო აუზები აქვს, მაგრამ ისინი ექსპლუატაციაში შესვლისთანავე მწყობრიდან გამოდიან. უწინარეს ყოვლისა, მშენებლები არაკვალიფიციურად ამონტაჟებენ ფილტრებს, რომელთა გარეშე აუზის მუშაობა წარმოუდგენელია. აი, ამიტომ არის, რომ

თბილისში ასე მომრავლდა „მკვდარი“ აუზები. ახლა თბილისის 25 სასკოლო აუზიდან მხოლოდ 10 მუშაობს. აქამდე არც ორგანიზაცია ჩანდა, რომელიც აუზებს ამოქმედებდა. საქმეს ძირითადად ის აფერხებდა და აფერხებს, რომ აუზების ფილტრების დამონტაჟებისა და ექსპლუატაციის სპეციალისტები თითქმის ჩამოსათვლელი არიან.

ახლა იმ ახალთახალ, მაგრამ უმკმედო აუზებს თავის სამსახურს სთავაზობს ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპარატივი. „დელფინმა“ უკვე მიიღო პირველი სიგნალი „SOS“ და გეზი უმაღლესის რაიონში მდებარე 59-ე საშუალო სკოლისკენ აიღო.

გარდა რემონტისა, კომპარატივის წევრები კისრულობენ აუზების მოსახურე პერსონალს ბაზების ექს-

პლუატაციის წესები შეასწავლონ. „დელფინი“, როგორც ვთქვით, გამაჯანსაღებელი მოხმარება უმჯობესია.

— ჩვენი კომპარატივის აუზებში ცურვის შესწავლის მსრუტელონი რაიონში სულ უფრო ჩაბრუნდა. გვეუბნება ვ. გამბარინი. — ასწავლით როგორც ბავშვებს, ისე უფროსებს. ამ საქმეს ემსახურებიან მოცურავეთა მწვრთნელები, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ალექსანდრე საფრონოვი, ლარისა პეტრი და მიხეილ ბასისტი. აუზებზე გახსნილი გავსაზრდოებელი საუბრები, ჩამოყალიბებით სამკურნალო ჯგუფებიც, რომლებშიც ვიღებულთა სიმულაციებშიც სპორტითა და სხვა ავადმყოფობით დაავადებულ ბავშვებს. გადამწყვეტილია გავხსნათ საუნაი. სხვა გეგმებიც გვაქვს, მაგრამ ამაზე საუბარი ავობებს მაშინ, როცა მათ განვხარციებთ.

ერთი სიტყვით, „დელფინი“ დიდი ასპარეზი ელის.

ნათელა ხოზარია.

## პარტული მხაროსნობის ისტორიიდან

# ანდრეი ბარკოვსკი

**პარტული** ცხენოსნური სპორტის ისტორიაში ანდრეი ბარკოვსკის სახელი განსაკუთრებულად უღირს. ომამდელ პერიოდში არ ჩატარებულა ჩვენში დიდები, ასე თუ ისე ანდრეი ბარკოვსკის სახელით რომ არ ყოფილიყო დაკავშირებული. იგი წარმოშობით პოლონელი გახლდათ.

თავდაპირველად უყვარდა საქართველო. საბჭოთა არმიის ორიგენშიც აქედან გაიწვიეს. ანდრეი ბარკოვსკი მუდმივად პარტული იყო პირველი ქართველი დერბისტის — ალექსანდრე ხაინდრავასი. ამ ორი ადამიანის სპორტული თანამშრომლობა და ვეჯეტური შემართება დიდების იპოდრომიდან იღებს სათავეს.

ანდრეი ბეგრად უფროსი იყო, ვიდრე ალექსანდრე. იგი უფროსად გამოვიდა მხედრად ითვლებოდა.

საგარეო მონაცემებით ანდრეი ბარკოვსკი მოსკოვიდან საქართველოში 1933 წლიდან უნდა გადმოსულიყო. ყოველ შემთხვევაში ამ წლიდან მოყოლებული იგი საქართველოს სახელით სისტემატურად ლეზულობს ცხენთაგროვებაში მონაწილეობას საკავშირო საარბიელზე.


დავიმოწმებთ ფაქტებს. აი, ერთ-ერთი მათგანი: 1933 წელს, ქლაქი მოსკოვი. იმ წელს, წმინდასისხლის ორწლიან ცხენებს შორის 1600 მეტრ მანძილზე დოღში გამარჯვება მოუპოვებია მუხროვანის 74-ე ცხენსაშენის ცხენ „როზიტას“. ამ შესანიშნავ ბედურზე მჯდარა ანდრეი ბარკოვსკი. ცხენ-მხედრის მწვრთნელი გახლდათ მუხროვანის ცხენსაშენიდან — ტუტაროვ ჩაბანი, ამ მოვლენას შესწრება 14 წლის ბიჭუნა, ქართველ მხედართა უფროსი თაობის წარმომადგენელი — აწ განსვენებული ავაკი სურმავა. ავაკი სურმავას კარგად ვიცნობდი. ეს ფაქტი მანვე მიაშობ.

1933 წელს, ანდრეი ბარკოვსკიმ დიდების იპოდრომზე მუხროვანის ცხენსაშენის ორწლიან ცხენ „დომით“ 1000 მეტრ მანძილზე „საგამოდო“ პრიზი მოიგო. იმავე წელს მან ორწლიან „როზიტათ“ 1200 მეტრზე დასაკურთხა ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების სახე-

ლობის პრიზი. 1933 წლის ცხენთ-გამოცდის სეზონში ანდრეი ბარკოვსკი 35-ჯერ გამოვიდა სტარტზე. აქედან 14-ჯერ პირველი იყო, რვა-ჯერ მეორე, ხოლო 5-ჯერ მესამე.

1934 წელს, სეზონის პირველ დღეს, 2 მაისს ცხენ „აბორიგენი“ ანდრეი ბარკოვსკი იგებს 1600 მეტრზე „სეზონის გახსნის“ პრიზს.

1935 წლის აგვისტოში ანდრეი ბარკოვსკი ყულარის ცხენსაშენის



ცხენ „დვინათი“ დიდი საკავშირო პრიზის გათამაშების მონაწილეა. დერბი 6 აგვისტოს გათამაშდა მოსკოვში. ჩვენ ვიცით ამ დროის მონაწილენი — მთელს საბჭოთა კავშირში განთქმული მხედრები: ა. ლაკსი, მ. მამედოვი, კ. კოსოვიცი, ტ. ჩაბანი, ნ. დუდავი, ი. ფიოდოროვი, ვ. ჩეროვი, კ. გულიევი, ბ. პონომარენკო და მათ შორისაა „დვინაზე“ ამხედრებული ანდრეი ბარკოვსკი. მანძილი 2400 მეტრი. პირველი ადგილი დაიკავა „გერონიმამ“ — ძერენისკის სახელობის მე-60 ცხენსაშენის ცხენმა, ხოლო მეორე ადგილი ხვდა საქართველოს წარმომადგენელი ანდრეი ბარკოვსკის, ყულარის ცხენსაშენის ცხენი „დვინა“ შეფასებული იქნა როგორც საუცხოო ელტური თვისებების მატარებელი მე-

ალსანიშნავია, რომ მუხროვანის ცხენსაშენის ცხენ „ბაღდადი“, რომელიც მაშინ 2 წლისა იყო, ა. ბარკოვსკი კალინინის სახელობის პრიზის გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა.

„ბაღდადი“ ანდრეი ბარკოვსკი შემდგომ 1936 წელს დიდი საკავშირო პრიზის — დერბის გათამაშებაშიც გამოვიდა და დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი. ამის შესახებ ჩვენ სათანადო დოკუმენტები მოგვეპოვება.

1938 წელს 2 მაისს, ა. ბარკოვსკიმ დიდების იპოდრომზე 2000 მეტრზე „გახსნის პრიზი“ მუხროვანის ცხენსაშენის ცხენ „შავგულით“

მოიპოვა. ამ დროში „შავგულით“ ფინიშის სწორზე გასვლის შემდგომ დაიწყო დაწინაურება — მანძილის გავლას 2 წუთი და 40 წამი მოახლოდა.

იმავე წლის 8 მაისს, მეექვსე დღეში, სამწლიანი ულაყებისა და ფაშატებისათვის 2000 მეტრზე გათამაშებულა „ჩართვის პრიზი“. სტარტიდანვე მუხროვანის ცხენ „ლაგუზით“ დაწინაურებული ანდრეი ბარკოვსკი და ფინიშთანაც პირველი მისულა.

1939 წელს მოსკოვში დიდ საკავშირო პრიზში (დერბი) მუხროვანის ცხენსაშენის ცხენ „გაიოზით“ ანდრეი ბარკოვსკის მე-5 ადგილი დაუკავებია. ცნობილი მხედრის ასპარეზობის რამდენიმე ფოტოც ქუნდა, მაგრამ მაინც შემოინახა ისტორიამ.

**თამაზ შინაძე.**  
ავტორის ფოტორეპროდუქცია.

## პარტული დაპატივად

**ბატონიშვილი** რედაქციას თქვენი გაზეთის გასული წლის 27 დეკემბრის ნომერში რედაქციის სახით გამოქვეყნდა წერილი — „რატომ ამაღლიან“?

ჩვენ გულმოდგინედ და ოპერატიულად შევისწავლით წერილში აღნიშნული შემთხვევა, მაგრამ ვიდრე მასზე პასუხს გავცემდით, საჭიროდ მივიჩნით შევასხენოთ აღნიშნულ ღონისძიებების ორგანიზატორებს, რომ თანამედ სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 29.12.85 № 187 ბრძანების მე-10 დანართისა (დებულება ფიზიკულტურასა და სპორტში მომეცადინე პირებზე საექიმო კონტროლის შესახებ) მასობრივ ფიზიკულტურულ ღონისძიებათა, სასწავლო-საწვრთნო შეკრებათა და სპორტულ შეჯიბრებათა მედიკო-სანიტარული უზრუნველყოფა ხორციელდება საექიმო ფიზიკულტურის დისპანსერების, საექიმო კონტროლის განყოფილებებისა და კაბინეტების მუშაკების მიერ ტერიტორიული პრინციპით. იგივე წესი ვრცელდება სპორტული ბაზების, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა სამედიცინო კაბინეტების, ადგილობრივი ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაკებზე. ამ მიზნით გამოიყოფა სანიტარული ტრანსპორტი (და არა სასწრაფო დახმარების მანქანები). ეს ხდება შემდეგი წესით: სპორტული ღონისძიების ორგანიზატორები აქ ჩამოთვლილ რომელიმე სამედიცინო დაწესებულებას ღონისძიების დაწყებამდე 2 დღით ადრე წარუდგენს განაცხადს, რომელშიც უნდა იყოს აღნიშნული ღონისძიების დასახელება, სპორტის სახეობა, პროგრამა, ჩატარების ადგილი და ვადები, მონაწილეთა რაოდენობა. იმ შემთხვევაში, როცა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობენ სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სპორტსმენებიც, ამავე განაცხადში მითითებული უნდა იყოს ცნობა მათი კვებისა და საცხოვრებელი ადგილების შესახებ.

სპორტული ღონისძიების ორგანიზატორებს შეეძობრების მედიკო-სანიტარული უზრუნველყოფის

## „რატომ ამაღლიან“?

მიზნით არ მიუმართავთ განაცხადით ან სპეციალური ტელეფონო-გრამით არც ერთი სამედიცინო დაწესებულებისათვის. როგორც ქალაქის სასწრაფო დახმარების სადგურის ჩანაწერები მოწმობს, 19 დეკემბრის სადგურში სახელმწიფო ცირკიდან გამოიძახეს სასწრაფო დახმარების მანქანა ერთი მსუყრეზლის ავად გახდომის გამო. 11 საათსა და 50 წუთზე ცირკში გაიგზავნა სასწრაფო დახმარების კარეტა (ექიმი ახვერდოვა), რომელმაც ავადმყოფი გადაიყვანა ქალაქის № 8 საავადმყოფოში, ხოლო სახცირკში დამატებით გაიგზავნა სასწრაფო დახმარების მანქანა 12 საათსა და 45 წუთზე, რომელიც ცირკში დარჩა ღონისძიების დამთავრებამდე. 26 დეკემბრის სასწრაფო დახმარების სადგურში კვლავ დარჩეს, რათა სახელმწიფო ცირკში გაიგზავნათ მანქანა. 12 საათიდან და 20 წუთიდან შეჯიბრების ბოლომდე სასწრაფო დახმარების კარეტა (ექიმი შულგავილი) მორიგეობდა აღნიშნულ ობიექტზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ სასწრაფო დახმარების კარეტის გამოყენება სპორტული ღონისძიების მედიკო-სანიტარული უზრუნველყოფის მიზნით დაუშვებელია თანამედ სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს № 1490 ბრძანებისა.

ვსარგებლობთ რა შემთხვევით, თქვენი გაზეთის საშუალებით ვთხოვთ ყველა სპორტული ორგანიზაციას, სწორად გაიგონ დებულების არსი. უზარალო ფორმალბა კი არა, აუცილებელი საჭიროებაა, რომ საექიმო ფიზიკულტურის დისპანსერებმა და სხვა სამედიცინო დაწესებულებებმა ხელმძღვანელებმა დაიხადონ დაეპირონ თადარიგი სანიტარული მანქანების შესაკვთად და შესაბამისი სამედიცინო ბრიგადების შესარჩევად ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების დროული და სრულფასოვანი მედიკო-სანიტარული მომსახურებისათვის, როგორცაა სპორტული ღონისძიება.

**მურმან იაშვილი,**  
თბილისის აღმასკომის ჩანდაცვის სამმართველოს უფროსი.

## გამოცდა ფიზიკურ მომზადებაში ველოსპორტი

**ამის** წინათ ვაში ჩატარდა 1972-1974 წწ დაბადებულ ველოსპორტისტთა შეჯიბრება საერთო ფიზიკურ მომზადებაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, თეგოლენის, რუსთავის, გორის, თერჯოლის, ვანის, ქუთაისის, მცხეთის, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის წარმომადგენლები. 120 მონაწილედან ასათი პროფკავშირების სპორტსაზოგადოებისა და განათლების სამინისტროს აღსაზრდელები იყვნენ.

აი, საერთო ფიზიკური მომზადების ნორმატივები კი მხოლოდ ოცდაათმა სპორტსმენმა, ე. ი. მონაწილეთა ოცდახუთმა პროცენტმა ჩააბარა. დაგეგმიანობით, ეს ყოველად დაუშვებელი, არადაამაყყოფილებელი შედეგია.

რა მნიშვნელობა აქვს საერთო ფიზიკურ მომზადებას სპორტსმენისთვის, ვფიქრობ, ყველამ კარგად იცის. განსაკუთრებით ახლა, როცა ველოსპორტის დარგით უფრო მოსამზადებელ პერიოდში ერთიორად გაიზარდა. მაგალითისთვის

წარმოვიდგინოთ მრავალდღიანი შეჯიბრება, რომელიც 5-6 დღეს გრძელდება და რომელშიც სპორტსმენებს 180-200 კილომეტრის გავლა შეუვსენებლად 4-5 საათის განმავლობაში უხდებათ. ადვილი წარმოსადგენია, რა ფიზიკურ დატვირთვას უნდა გაუძლოს ველოსპორტისტმა ასეთ პირობებში?

საერთო ფიზიკური მომზადების გაუმჯობესება თანამედროვე ველოსპორტის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა და ჩვენმა მწვრთნელებმა, პირველ ყოვლისა, ამ სფერო-

ში უნდა გარდაქმნან მუშაობა. ზართის პერიოდში აქცენტი სწორედ საერთო ფიზიკურ მომზადებაზე უნდა იქნას გამახვილებული და ის სპორტსმენები, რომლებიც ვერ შეასრულებენ ნორმატივებს, საერთოდ არ უნდა დაუშვან შეჯიბრებებში. მწვრთნელებს უნდა ახსოვდეთ, რომ სეზონის განმავლობაში ველოსპორტისტი 20-25 ათას კილომეტრს ჰფარავს და ასეთ დიდ დატვირთვას სათანადო ფიზიკური მომზადების გარეშე ძნელად თუ

გაუძლებს. სწორედ ამიტომ ამიერთიან ველოსპორტისტთა საერთო ფიზიკურ მომზადებას თვეში ერთხელ შევაძრებთ.

სასარგებლო შეჯიბრებას, რომლის შესახებაც ზემოთ მოვახსენეთ, თავი არიდებს ზობისა და სამტრედის სპორტსმენებმა, რისთვისაც მათ სპორტულ ხელმძღვანელებმა პასუხი უნდა მოეთხოვოთ.

**ავთანდილ გუნიბა,**  
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.



ახალი მისანი ნახევარფინალი

დასასრული რომ ეს ამ ტურნირში ახმლოვს-კაიას საუკეთესო პარტიები...

არახამიას ჰქონდა, მაგრამ ციტ-ნოტში მას „ხელში შემოაღდა“ უპირატესობა და მეტოქეს მდგომარეობის გათანაბრების საშუალება მი-სცა...



კაუნასი. ერთდღიანი შესვენების შემდეგ აქ განახლდა უმაღლესი ლიგის კალათბურთულ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი...

ლი“ აგრესიულად იყო განწყობილი და ბრძოლას ადვილად არ და-თმობდა (44:43). მეორე ნახევარი ცვალებადი უპირატესობით აღინიშ-ნა...

Table with 2 columns: Name and Score. Includes entries like „დინამო“ (თბილისი) 29 16 18 2511-2677 45.

იოსელიანს, იმისათვის, რომ ლიდერებს მიახლოვდნენ, აუცილ-ვლად უნდა მოეგო XI ტურის პარ-ტია ახმლოვსკაიასთვის სხვა გა-მოსავალი არ ჰქონდა...

ამრიგად, XI ტურის შემდეგ ნა-ნა იოსელიანმა და მარტა ლიტინ-სკიამ 7-7 ქულა მოაგროვეს...

10 თებერვლის შესვენებებიდან ყველაზე მოულოდნელი იყო ცსკა-ს და კიევის „სტროიტელის“ შედეგი...

Table with 2 columns: Name and Score. Includes entries like „სტროიტელი“ (106:104), „სტროიტელი“ (105:97).

მეტოქეებმა ახალინდური დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი გაითამაშეს. იოსელიანმა საკმაოდ სწრაფად გა-ათანაბრა პოზიცია...

ალბათ საინტერესო იქნება გაგა-ცნოთ დასკვნითი სამი ტურის შესვენებებზე განხილვა. XII ტური: იოსელიანი-არახამია...

იხილავთ „სოცხალ ჟაღრას“

საპარტიველოს სპორტსმენთა 1987 წლის მონაგარის საზეიმო შე-კრებებს ეძღვნება საკადრაკო კო-მპოზიციის რ. თავარიანის ეტიუ-დი...

მათაშაშაის ცხრილი

Table with 2 columns: Name and Score. Includes entries like „სტროიტელი“ (105:97), „სტროიტელი“ (105:97).

მათაშაშაის ცხრილი

Table with 2 columns: Name and Score. Includes entries like „სტროიტელი“ (105:97), „სტროიტელი“ (105:97).


ლევითნის წინააღმდეგ შავებით მოთამაშე ლიტინსკიამ ესპანურ პარ-ტიაში ამ ტურნირში უკვე მესა-მედ მიმართა ძველ ვარიანტს...

დავით ხალიძე, სპეციალური კორე-სპონდენტი. ყვარტუბო. გუზინ...



გუზინ...

გაიმარტა X ტურის ორი გამო-ტოვებული პარტია: გაფრინდაშვი-ლი — არახამია 1:0, ლიტინსკია — ალექსანდრია 0:1.



მოგება

ამოხსნა: 1. მ6+ მფ8 (1. ...მფ7 2. მ5+ და 3. მფ3 მოგე-ბით) 2. ა7 h1ლ (2. ...მფ6+ 3. მფ7 მ5+ 4. მ:ე5 h1ლ 5. მფ6X) 3. ა8ლ ლe1+ (3. ...ლხ8 4. მ:ე5) 4. მფ:ფ8 ლe6! 5. მ:ე5!! (5. ლმ8 მ:დ4 6. მ:ე5 ლფ8+ 7. მ:ფ8 მ:ე6+ ან 6. ლe7 ლმ8! 7. მ:დ8 ლ:დ8+ 8. ლ:დ8 მ:ე6+ ყაიმით) 5. ...ლ:ნ6+ 6. მ:ფ7+ მფh7 7. ლe4+ და ორ სელაში შაშათია.

დღეს თბილისის სახელმწიფო ცირკში ქართულ ჰელოპოპში საქა-რთველოს კომპოზიტორის ცენტრალურ-ი კომიტეტის პრეზიდენტის კლავდიის უბნებსა და ხოლოდებს შორის რე-პაბლიკური ახმარეობის მორიგ ტურში ერთმანეთს ხვდებიან: შერ-რეთი (გორის რაიონი) — ვაჟა (ხაშურის რაიონი); წინადადი (თე-ლავის რაიონი) — აფენი (ლაკო-დეხის რაიონი). დახაწყისი 12 სა-ათზე.

გაიმარტა X ტურის ორი გამო-ტოვებული პარტია: გაფრინდაშვი-ლი — არახამია 1:0, ლიტინსკია — ალექსანდრია 0:1.

„სკორტპროგნოზი“

მეხუთე ტირაჟის შედეგები (30 იანვარი — 1 თებერვალი) სკორტული ლატარიების მთავარ-მა სამმართველომ შეაჯამა „სკო-რტპროგნოზის“ მეხუთე ტირაჟის

რედაქტორი

ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაცია და საქართველოს პო-ლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზი-კური აღზრდის კათედრა იუწყე-ბიან, რომ გარდაიცვალა კათედ-რის მასწავლებელი, სპორტის ვე-ტერანი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ემა ნიკოლოზის ასული სტეპანოვა-კუტუვაჟი და სამიძიარს უცხადებენ განსე-ნებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 350096 თბილისი, ლენინის ქ. 14. ლეტელებისთვის — თბილისი, „ლელო“

კვლევის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მარტვი“ — 93-97-27.

სპორტული ლატარიების მთავარ-მა სამმართველომ შეაჯამა „სკო-რტპროგნოზის“ მეხუთე ტირაჟის

საქართველოს კვ-ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენ-ის მფლობელი, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფეტურ-რი წესით ხაგავითა კორპუსში: სომარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10656